


## ტექნიკური დავალება

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს "სოკარ-ჯორჯია პეტროლეუმის" ავტოგასამართი სადგურის და სავაჭრო კომპლექსის, ბათუმში, "მაკდონალდსის" შენობის ლითონ-კონსტრუქციების შემოწმება.



## **1. შემოწმების აქტუალობა**

ნაგებობის პერიოდული შემოწმება აქტუალურია და გათვალისწინებულია, შემდეგი ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნით:

- ГОСТ 31937-2024 Здания и сооружения. Правила обслуживания и мониторинга
- ТКП 265-2011 Порядок технического обслуживания и ремонта производственных зданий
- ОРД 00 000-889 Техническая эксплуатация стальных производственных зданий.

## **2. შემოწმების მოცულობა.**

2.1. შესამოწმებელია:

2.1.1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული სავაჭრო კომპლექსის და ავტოგასამართი სადგურის ლითონ-კონსტრუქციები.

2.1.2. ქ. ბათუმში, მაკდონალდსის ლითონ-კონსტრუქციები

2.2. შემოწმდება ნაგებობების ლითონ-კონსტრუქციების ყველა კვანძი

2.3. დეტალური შემოწმება ჩატარდება ნაგებობის საყრდენ კვანძებში.

## **3. შემოწმების მიზანი.**

3.1. შენადულ ნაკერებში ზედაპირული და ზედაპირისქვეშა დეფექტების გამოვლენა

3.2. მზიდი ლითონ-კონსტრუქციების დეფორმაციების და დაზიანებების გამოვლენა.

3.3. ლითონ-კონსტრუქციების კოროზიული მდგომარეობის შეფასება

3.4. ლითონ-კონსტრუქციებზე ანტიკოროზიული საფარის შემოწმება.

## **4. შემოწმების მეთოდები**

4.1. ვიზუალური და გაზომვითი

4.2. ინდუქციური

4.4. ულტრაბგერითი

4.5. შედეგების კამერალური დამუშავება და ტექნიკური ანგარიშის მომზადება.

## 5. შემოწმების შედეგები

შემოწმების შედეგად წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- 5.1. შიდი კონსტრუქციების დაზიანებების არეალი, კვანძების მდგომარეობა, დაზიანებული ელემენტების ფიქსაციით, ნახაზების სახით.
- 5.2. კვანძების შედუღული ელემენტების ვიზუალური და ინსტრუმენტალური შემოწმების შედეგები, დაზიანების არეალის იდენტიფიკაციით.
- 5.3. კვანძების კოროზიული დაზიანების არეალი, ფიქსაციით ნახაზების სახით.
- 5.4. ანტიკოროზიული საფარის შემოწმების შედეგები
- 5.5. გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნეს ტექნიკურ ანგარიშში არსებული ხარვეზების და დეფექტების მითითებით და მათი გამოსწორების რეკომენდაციებით

## 6. მოთხოვნები შემოწმებელი ორგანიზაციის მიმართ

- 6.1. ნაგებობის გამოკვლევა უნდა ჩაატაროს ორგანიზაციამ, რომელსაც გააჩნია ლითონ-კონსტრუქციების დიაგნოსტიკური კვლევის გამოცდილება და ანალოგიური სამუშაოები ჩატარებული აქვს ბოლო 3 წლის განმავლობაში. (წარმოდგენილი უნდა იქნეს შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
- 6.2. აქვს დიაგნოსტიკური კვლევისათვის აუცილებელი ინსტრუმენტები და აპარატურა
- 6.3. ყავს, EN ISO 9712-2012/2022 სტანდარტით სერტიფიცირებული მე-3 დონის MT, UT, RT, VT, PT კვლევის მეთოდებში ლიცენზირებული სპციალისტები.

## 7. მოსამზადებელი სამუშაოები.

სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთის, მიერ ჩასატარებელია შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

- 7.1. ნაგებობის შიდა, შესამოწმებელ სივრცეში მოეწყოს განათება.
- 7.2. სვეტების ანკერული საყრდენების შესამოწმებლად მომზადდეს (გაიღოს) შესასვლელი ღიობები.
- 7.3. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო და საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია რომელზეც შესაძლებელი იქნება დაზიანებული ადგილების ფიქსაცია.

## 8. შემოწმების ვადა.

40 კალენდარული დღე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან. (50 დღე - ინსტრუმენტალური გაზომვები, 10-დღე კამერალური სამუშაოები).